**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 244 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 244

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნომრებიდგან წლის დამლევამდე ჰღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

სამშაბათს, 26 ოკდომბერს,

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა. ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**კ ა რ მ ე ნ**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი დონსკოი-ეიხენვალდისა, ნიკიტსკაია, პეტროვა-ზვანცევა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, კომაროვი, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

ოთხშაბათს, 27 ოკდომბერს,

გაიმართება ქართულ დრამატილ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

**ახალი მოძღვრება**

დრამა 4 მოქმ. და 7 სურ., ბარრეტისა, თარგმ. კანდელაკის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

---

ხუთშაბათს, 28 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქმნება

**ევგენი ონეგინი**

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად M-lle **ფიფი**, 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კედლერი.

---

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

იმავე პროგრამით ღ იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

---

ტელეფონი № 63. წარმ. № 3.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 27 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამიტიულ დასის-მიერ

ბ-ნ ვლ. **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

**ახალი მოძღვრება**

დრამა 4 მოქმ. და 7 სურ. ბარეტისა, თარგ. კანდელაკის მიერ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატალია მესხი, ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, შათირიშვილი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

ადგილების ფასი დაკლებულია.

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «ლალატი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი ქ. ზძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## სამკერვალო ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შ ე ს ა კ ე რ ა დ**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ჯარების რაოდენობა ომის ველზედ. როდესაც ლიაოიანის საშინელი ომი გათავდა, მაშინ ხმა გავარდა გაზეთებში, რომ იაპონელთა სამს არმიაში ირიცხებოდა სულ 160,000 მეომარი, მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარი წარმოადგენდა არმიას, რომელიც შესდგებოდა 290.000 მეომარისაგანო. მხოლოდ ამითი ჰხსნიდნენ, რომ იაპონელთა მთავარ სარდალმა ოიამამ ვერ გაჰბედა უკან დადევნებოდა ჩვენს არმიას, რომელიც მიისწრაფებოდა მუკდენისაკენ. ამიტომაც, შედარებით, ისეთი გამარჯვება ვერ იგემა მტერმა, როგორის იმედიცა ჰქონდა. შემდეგ ეს ეჭვი უარჰყვეს და ამბობდნენ, ვითომც იაპონელთა რიცხვი ლიაოიანის ველზედ არ ჩამოუვარდებოდა 400,000 მეომარსაო, და კიდეც უსაყვედურებდნენ მარშალს ოიამას, რომ მან ვერ გამოიყენა თავის სასარგებლოდ ჩინებული გარემოება, რომელიც არგუნა ბედმა ლიაოიანის მიდამოებშიო. ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმს“-მა ხომ მომავალ ისტორიის მსჯავრი დასდო ოიამას შეუგნებლობას, რომელმაც ამოდენა ზარალი მიაყენა იაპონიის მეომრებსაო. ეხლა გაზეთ «რუსსკია ვედომოსტ»-ის სამხედრო მიმომხილველი დაწვრილებით არკვევს მასალას ჯარების რაოდენობისას და იმ დასკვნაზედ მიდის, რომ მარშალ ოიამას, შედარებით, მართლა მცირე ჯარი ჰყოლია, ვიდრე ჩვენ, და თუ იგი მაინც იმარჯვებდა, ეს პირველად იმის შედეგი ყოფილა, რომ მისი არტილერია ბევრითა სჭარბობდა ჩვენს არტილერიას, და მეორეც იმისი, რომ იგი მეტად მოხერხებულად ხმარობდა თავის რაზმებს და მათს უმეტესობას იქით გაისტუმრებდა, სადაც უფრო ძლიერი რაზმი ეგულებოდა მოწინააღმდეგისა. ჩვენ კი ასე გვეგონა, რომ რაკი ამ ადგილას მომეტებული ძალა გვაჩვენა, სხვაგან უფრო ძლიერი უნდა იყოს მტერიო, და უკან დახევით თავსა ვშველოდით. ზემოხსენებული მასალა გვიჩვენებს, რომ მთელი ჯარი იაპონელებისა ომის ველზედ არ აღემატება 308,000 კაცსა, მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარი იქნება არა ნაკლებ 450,000 კაცისა. რაკი ახლა მომავალში ჩვენი არტილერიაც იმატებს, მტერი ბევრს ველარას დაგვაკლებს, თუ მანამდე პორტ-არტური არ აიღო და მთელი თავისი საალყე დიდი ზარბაზნები მუკდენისაკენ არ ამოიტანეს. (რ. ვ.).

—

პოლკოვნიკ სემიონოვის წერილი გაზეთ „რუსსკოე სლოვო“-ს რედაქციისათვის ქ-ნ პ—ს გადაუცია პორტ-არტურში მყოფ მისის ძმის პოლკოვნიკ სემიონოვის წერილი, რომლის შინაარსიც აქვე მოგვყავს. პოლკოვნიკი სწერს თავისს დას, ქ-ნ პ—ს: „ამ უკანასკნელ ხანებში წერასაც კი გადავეჩვიე, დიდი ხანია შენთვის არაფერი მომიწერია; ამ ხნის განმავლობაში, რომ იცოდე, რამდენი უბედურება და გაჭირვება დამატყდა თავს. მწვანე მთის დაცვა მე მქონდა მონდობილი, 28 როტა ჯარის კაცი მყვანდა თან; როდესაც მე თვითონ მოვინდომე მტერზედ გალაშქრება და იერიშის მიტანა, 18 როტა კიდევ მომაშველეს, ასე რომ ჩემს ხელქვეით თითქმის მთელი დივიზია იყო. გამარჯვებისათვის ფლიგელ-ადიუტანტობა მიბოძეს და გიორგის ორდენზედაც წარმადგინეს. აი, ეხლაც, იაპონელები პორტ-არტურის პირდაპირ არიან დაბანაკებულნი. ამას წინად ჩვენს თხრილებზედაც მიიტანეს იერიში. ერთს მათგანს, რომელშიაც წყლის მილი იყო მოთავსებული, იცავდა ჩვენი მეთერთმეტე როტა, წინააღმდეგ მტრის მთელის პოლკისა. ბრძოლა თითქმის 27 საათს გაგრძელდა; იძულებული, გავხდი კიდევ გამეგზავნა ერთი როტა მისაშველებლად, რის შემდეგაც იაპონელები უკუ-ვაქციეთ. ბრძოლის ველზედ 900 გვამი დარჩა. მეორე თხრილს იცავდა ჩვენის ჯარის კაცთა ერთი როტა, მტრის მთელის პოლკის წინააღმდეგ. ამ ომში მძიმედ დაგვიჭრეს როტის უფროსი, მოგვიკლეს პორუჩიკი პაური, მაგრამ მტერი მაინც უკუ ვაქციეთ. აქაც 800 მოკლულთა გვამი დარჩა. ჰაერი მოწამლულია მათის სუნით, მაგრამ ჩვენ ღონისძიება არა გვაქვს, რომ სიმაგრეებიდან გამოვიდეთ და მიწას მივაბაროთ დახოცილნი.

ჩვენი მოქიშპე მეტად საკვირველი მტერია: ჰკვიანი, ხერხიანი, მამაცი და განათლებული. თქმა არ უნდა, ეს ომი სამხედრო საქმეში დიდს ცვლილებას შემოიტანს. მეტად ძვირად უჯდება მტერს ჩვენზე იერიშის მოტანა, მაგრამ ისინი გულს მაინც არ იტეხენ და კალიასავით მოძვრებიან წინ. ამბობენ, დღეს კიდევ მოვიდა იაპონიიდან 30,000 ჯარის კაციო. მე მომიკლეს 3 აფიცერი და დამიჭრეს 8.

ჩვენ არ ვიცით, როდის მოვა კუროპატკინი და გამოგვიხსნის. ნეტავ მალე მოვიდოდეს მაინც! როგორც ამბობენ, იაპონელები 24 აგვისტოს აპირებენ კიდევ იერიშის მოტანას ჩვენზე. ვნახოთ, რასაც წაიღებენ! ჩვენ არაფრის გულისათვის არ დავნებდებით; ხორცი გაგვითავდა, მაგრამ სხვა სურსათი კი ჯერ ბლომადა გვაქვს. მე ეხლა ყველაზე საშიში ბლინდაჟი მაბარია; აქედან თვალ-ყურს ვადევნებ მტრის მოძრაობას. 13 ივნისიდგან ერთხელაც არ გამიხდია ტანისამოსი,—მძინავს ჩაცმულს». (რ. ს.).

## ახალი ამბავი

**მესამე ქართული წარმოდგენა.** ხვალ, 27 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ, ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება ბარრეტის 5-მოქმედებიანი ტრაგედია „ახალი მოძღვრება“, თარგმანი კანდელაკისა. დიდი ხანია სწყუროდა ქართველ საზოგადოებას ამ პიესის ხილვა ქართულს სცენაზედ და, აი, ძლივს მოვესწარით! მესხიშვილის მონაწილეობა ამ წარმოდგენაში თავმდებია, რომ პიესა ანსამბლით ჩაივლის. ამ ტრაგედიის სიუჟეტი აღებულია ჰენრიკ სენკევიჩის ცნობილ რომანიდგან «Quo vadis?» სრული იმედია, რომ წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრება.

*** **ქართ. წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით.** შაბათს, 30 ოკდომბერს, ტფილისის საკრებულოში (სობრანიე) გაიმართება ქართული წარმოდგენა ქართულ უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთაგან დავ. კლდიაშვილის ერთ-მოქმედებიანი კომ. «დარისპანის გასაჭირი» და «პედაგოგები», ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა. ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი. წარმოდგენის დასასრულ გაიმართება ლეკური. იმედია, ქართველი საზოგადოება თავის წვლილს არ დაიშურებს და ამ საზოგადო საქმისათვის სასარგებლოდ გამართულს წარმოდგენას მრავლად დაესწრება. დაიწყება საღამოს 8 საათზედ.

*** **მისი უმაღლესობა** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტფილისს დაჰყოფს ოთხშაბათამდის.

*** **მკვლელობა.** «ნოვ. ობოზრ.»-ს ატყობინებენ, რომ 21 ოკდომბერს, დილით, ჯურუყვეთის საზოგადოებაში, ოზურგეთის მაზრა, თოფით მოუკლავთ მოვაჭრე ლუკა ურუშაძე. ერთი ბოროტ-განზრახველთაგანი უკვე შეუპყრიათ.

*** **ხოლერა.** 12-დგან 21 ოკდომბრამდე ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა ოთხი კაცი, მომკვდარა 3. 20 ოკდომბერს არც ავად გამხდარა ვინმე და არც მომკვდარა ბაქოში, ხოლო ბალახანას კი ერთი მოკვდა. 21 ოკდომბერს ქალაქში ავად გახდა ორი კაცი; არავინ მომკვდარა. ბალახანაში ერთი გახდა ავად და მოკვდა. 22 ოკდომბერს არსად არც არავინ გამხდარა ავად და არც მომკვდარა.

*** **ქურდ-ბაცაცობა სვანეთში.** სვანეთშიაც გაჩენილა ქურდობა. ძალიან გამრავლდა ავ-ხელი და აბრაგი ხალხი. წინად საქონელ-ავეჯი კარში იყო და ხელს ვინ ახლებდა, ახლა კი გატეხილი ქოთანი რომ დაგრჩეთ კარში, ხვალ ვეღარ იხილავთ.

არ გვეგონა, თუ პატიოსნებით სახელგანთქმულს მთას ასე მალე შემოეპარებოდა ეს სენი ბარისა და თანამგზავრი ცრუ-გარეგანის განათლებისა.

*** **რუსეთის ფოსტა.** გუშინ-წინ და გუშინაც არ მოსულა ტფილისში რუსეთის ფოსტა, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზა კობსა და გუდაურს შუა გაფუჭებულია.

*** **ვ. ვ. ბერკის მემკვიდრეებმა,** გაზ. „სევ. კავ.“-ს გამომცემლებმა, შუამდგომლობა აღძრეს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, ნება დაგვრთეთ, რომ ჩვენი გაზეთი ყოველ-დღე გამოვცეთო. ეხლა ეს გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდის.

*** **ქალაქის სკოლების სინჯვა მკურნალთაგან.** ქალაქის სკოლების კომისიის წევრმა ა. ბაბოვმა წარუდგინა კომისიას აზრი, რომ მკურნალნი სინჯავდნენ ჩვენის სკოლის მოწაფეებს წელიწადში ორჯელ, სწავლის დაწყებისასა და გათავებისას, და აღნიშნავდნენ მოსწავლეთა წონას, სიმაღლეს, მკერდის განვითარებას და მხედველობის ძალასაო. კომისიამ მოიწონა ეს აზრი და გადასცა ქალაქის სამკურნალოსასანიტარო საბჭოს.

*** **იმავე სკოლების სინჯვა ტეხნიკოსთაგან.** კომისიის წევრმა ა. ბაბოვმა მოითხოვა, რომ ჩვენმა ტეხნიკოსებმა გასინჯონ სკოლები და ანუსხონ, რომელ სკოლის ოთახში რამდენია ჰაერი, სიმაღლე კედლებისა, სივრცე ეზოებისა და სხვ.

*** **ქალაქის დაკარგული ობლიგაციის კუპონი.** 23 ოკდომბერს ქალაქის გამგეობას მოუვიდა ფოსტით მე-4 კუპონი ას თუმნიან ობლიგაციისა ვიღაც იაკ. არტემის ძის მუსრომცევისაგან. საქმე გამომძიებელს გადაეცა. კუპონი მოვიდა ქ. სპასკიდან, რომელიც სარატოვის გუბერნიაშია. ეს ობლიგაცია № 303 მოპარულ იქმნა ამას წინად გამგეობის კასიდან.

*** **რაოდენობა ქალაქის სკოლებისა ტფილისში.** ქალაქს აქვს 18 სასწავლებელი, მათ შორის 2 განსაკუთრებით ქალებისათვის, 9 შერეული ვაჟთა და ქალებისათვის და 7 ვაჟებისათვის. სკოლებში შემსვლელთა რიცხვი იყო 1797 (რუსნი 541, ქართველნი 549, სომეხნი 662 და სხვა ეროვნებისანი 45). მიიღეს მხოლოდ 798. რუსნი—312, ქართველნი—217, სომეხნი—24. დარჩა სკოლების გარეშე 999 ყმაწვილი. 1 ოკდომბერს ყველა სკოლებში იყო 1414 ვაჟი და 716 ქალი. სკოლებში შემსვლელთა შორის ყველაზე ბევრნი იყვნენ სომეხნი, (36,8%), მერე ქართველნი (30,5%), მერე რუსნი (30,1%),

*** **იმ კომისიის თავმჯდომარედ,** რომელსაც მიანდეს ქალაქის ქონებათა ინვენტარის შედგენა, გუშინდელს სხდომაზედ არჩეულ იქმნა ი. მ. დოლუხანოვი.

*** **გამგეობის წევრმა** ნ. პ. კოკჩაევმა გამგეობის უკანასკნელ სხდომაზედ ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზედ, რატომ ქუჩის მოსაკირწყლავად არჩეული კომისია არა ჰკირწყლავს ზოგიერთ ქუჩებს პირველ რიგისას, როგორც, მაგ., გონჩარნის ქუჩაო და სხვ.; ქალაქის გამგეობამ, მოისმინა და განიხილა-რა ეს საქმე, დაადგინა, სთხოვოს კომისიას, რომ ელავე შეუდგეს გონჩარნის ქუჩის მოკირწყვლას.

*** **მომრიგებელ სასამართლოს გაძარცვა.** 20 ოკდომბერს, დამე, სურფკარაპეტის ქუჩაზედ, ახნაზაროვის სახლში მოთავსებული ტფ. მომრიგებელ სასამართლოს მე-4 განყოფილება გაჰქურდეს. ამ საქმის გამო პოლიციის გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: 20 ოკდომბერს მომრიგებელ მოსამართლის კამერაში მუშაობა გვიან დასრულდა და ერთად-ერთმა მოსამსახურემ დამის 9—10 საათამდე ძლივს მოასწრო სხვადა-სხვა დაწესებულებაში პაკეტების დარიგება. მოსამსახურე გვიან დაბრუნებულა და 12 საათიდან შესდგომია სადგომის დალაგებადასუფთავებას. ამ დროს ბოროტ-გამზრახველნი სურფ-კარაპეტის ეკკლესიის გალავნიდან თვალ-ყურს ადევნებდნენ მოსამსახურეს და, როცა ამ უკანასკნელმა დაიძინა, შესულან სადგომის ეზოში, იქიდან ეზოს კიბით ასულან ზემო სართულში, მორგებულის გასაღებით გაუღიათ კამერა და შემდეგ აქედან კაბინეტი. ქურდებს კაბინეტში დიდი რკინის ყუთის გატეხვა ვერ მოუსწრიათ, რადგან ხმაურობაზე მოსამსახურეს გამოჰღვიძებოდა. ამიტომ დაუვლიათ ხელი და გამოუტანიათ მთელი რკინის ყუთი ჯერ ეზოში ჩაუტანიათ კიბით, შემდეგ ქუჩაში გაუტანიათ და აქედან ჩამძვრალან სურფ-კარაპეტის ქუჩაზედ ახლად გაყვანილ არხში: ამ არხში ძლივს გაეტევა შესავლიდან ერთი კაცი. აქ ხევიდან ჩადის წყალი. რადგან არხის პირი ვიწრო ყოფილა, ქურდებს გამოუნგრევიათ რამდენისამე საყენის მანძილზე, ნაპირიდან ჩასულან არხში და იქ შესდგომიან რკინის გეტით (ლომით) ყუთის მტვრევას. ყუთისთვის აუგლეჯიათ თავი და ამოულაგებიათ ფულად 1,000 მანეთამდე. ყუთში ყოფილა აგრეთვე ძვირფასი ნივთები. როცა შეძლებულნი გარდაცვალების შემდეგ სტოვებენ მოძრავ ქონებას და ძვირფას ნივთებს, მომრიგებელი მოსამართლე ინახავს ამ ნივთებს იმ დრომდე, ვიდრე მემკვიდრენი გამოუჩნდებოდნენ. ასეთი ნივთები ყოფილა ყუთში: ორი დიდი ბრილიანტის თვალი, ღირებული 3,000 მანეთად, ორდენები სტანისლავისა, ვლადიმერისა და ანნასი სხვა და სხვა ხარისხებისა, ვერცხლისა და ოქროს მედლები 20 ცალზე მეტი, საათები, ბეჭდები და სხვა, ღირებული სულ 6,000 მანეთზე მეტად. ყველა ეს ნივთები ქურდებს წაუღიათ. ამას გარდა, ყუთში ყოფილა 20,000 მანეთზე მეტის თამასუქის ქაღალდები და სხვა საბუთები. ქურდები, როგორც ეტყობა, წერა-კითხვის მცოდნენი ყოფილან და საჭიროდ არ უცვნიათ ამ ქაღალდების წაღება. ეჭვი ამ ქურდობაში მიიტანეს 6 კაცზე, რომელნიც მომრიგებელ მოსამართლის სადგომში ბუხრებს აკეთებდნენ. ორი ხელოსანი პოლიციამ უკვე დააპატიმრა. (ც. ფ.).

*** **ახალი წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ქართული წიგნაკი—«ორი ობოლი», ი. ევდოშვილისა, გამოცემა ი. გარსევანაშვილისა. წიგნაკი შეიცავს 32 გვერდს, ძლიერ ლამაზადაა დაბეჭდილი და ჰღირს 5 კაპ.

---

## ქუთაისის ახალი ამბები

—

ჩვენებურ სანიტარიაზედ კარგი არა ითქმის-რა, მაგრამ ისეთი უსუფთაობა და სიბინძურე, როგორც მეთევზეთა და მეყასბეთა ქუჩებზეა, არსად არ არის მთელს ქუთაისში. რა გინდა, რომ აქ არ ეყაროს: მკვდარი ქათმები, საქონლის თავი და ფეხები დ სხვ. რაც მეთევზეებია, ყველა თევზის ნახარშ წყალს ქუჩაში აქცევს. ღორებს ხომ თვლა არა აქვს, იმდენია... იქვე ერთ მეყასბეთაგანს, ისე დღე არ გაივლის, რკინის სვეტზე მიკრული არ ჰყავდეს თხა-ცხვარი, ღორი დაძროხა; ყველა ბღავის, პეტელობს, ჰყვირის და ყურთა სმენა არ არის. ერთის ფქვილის მაღაზიიდგან გამოხვეტენ ხოლმე ფქვილს ქუჩაში. და უნდა ჰნახოთ მაშინ ღორების ჩხუბი. ამას წინად ეწერა გაზეთებში, რომ სანიტართა კომისია კმაყოფილი დარჩა ბაზრის დათვალიერების შემდეგ სისუფთავის მხრით. თუ შეიტყა, კომისიამ უნდა ჩამოიაროს, მაშინ არის ერთი ფაცა-ფუცი, მიხვეტმოხვეტენ და მერე აღარავინ არის პატრონი.

---

## სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების საკონცერტო დარბაზის კურთხევა.

კვირას, 24 ოკდომბერს, აკურთხეს ტფილისის სამუსიკო საზოგადოების შენობის საკონცერტო დარბაზი. ნაშუადღევის 1 საათის 15 წუთზე გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის თავმჯდომარეობით, დაიწყო სხდომა. წაკითხულ იქმნა საზოგადოების დირექციის თავმჯდომარის ბ-ნ კონსტანტინე მიხეილის ძის ალიხანოვის მიერ რესკრიპტი დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა, რომელიც როგორათაც ვიცე-პრეზიდენტი რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისა, ულოცავს ტფ. განყოფილებას დღესასწაულს და უცხადებს მადლობას დირექციას და კერძოთ მის თავმჯდომარეს კ. მ. ალიხანოვს ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის. ამის შემდეგ ბ-მა კ. მ. ალიხანოვმა მიჰმართა მის იმპერატ. უმაღ დიდ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს სამადლობელის სიტყვით და, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ უავგუსტოესის თავმჯდომარის წყალობით აღსავსე გამხნევებაში დირექცია მუდამ ჰპოვებს დაუშრეტელ ძალას სამერმისო მოღვაწეობისათვის. სიტყვის დასასრულს ბ-ნმა ალიხანოვმა მადლობით მოიხსენია ანტონ რუბინშტეინის სახელი, რომელმაც პირველმა ჩაჰყარა საძირკველი ტფილისის განყოფილების შენობისაო, უძღვნა რა ამ საქმეს მთელი შემოსავალი მის მიერ ტფილისში გამართულის კონცერტისა და აგრეთვე თვისი ამხანაგნი ა. ი. სავანელი (გარდაცვალებულია) და ალოიზი მიზანდარი, რომელთა მეოხებითაც დაარსდა ტფილისში პირველი კერძო სამუსიკო საზოგადოება და შემდეგში ეს საზოგადოება გადაკეთებულ იქმნა განყოფილებად რუსეთის საიმპერატორო მუსიკალურ საზოგადოებისაო. როგორც გამოირკვა შემდეგ მოხსენებიდგან, ბ-ნ კ. მ. ალიხანოვს საერთოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ტფილისის განყოფილების განვითარებასა და გაფართოვების საქმეში და განსაკუთრებით კი შენობის აგებაში. ამას გარდა, ბ-ნ ალიხანოვს თავისი შეუწირავს 18 ათასი მანათი—ორი ათასი შენობის დაწყების დროს და დანარჩენი 16 ათასი მოუხმარებია საკონცერტო დარბაზის მოწყობასა და გამშვენიერებისათვის. ამ უხვ შეწირულების გამო დირექციას მის დაუსწრებლად, დაუდგენია: აღნიშნოს ეს გარემოება ოქროს ასოებით მარმარილოს ქვაზედ, რომელიც საკონცერტო დარბაზის კედელში იქმნას ჩატანებული და ამავე დარბაზში გამოიკიდოს მისი სურათი; ამასთანავე ეთხოვოს საზოგადოების უმთავრეს დირექციას არჩეულ იქმნას ბ-ნი ალიხანოვი რუსეთის საიმპერ. სამუსიკო საზოგადოების საპატიო წევრად. ტფილისის განყოფილების მუსიკალურ სასწავლებლის მასწავლებლებმა მიართვეს ბ-ნ ალიხანოვს ადრესი საპატიო მოღვაწეობის გამო. ბ-ნმა ოპოჩინინმა და ბ-მა ხატისოვმა მიულოცეს განყოფილებას დღესასწაული: პირველმა—საარტისტო საზოგადოების მხრივ და მეორემ—სომხურ დრამატიულ საზოგადოების სახელით. შემდეგ წაიკითხეს მრავალი დეპეშები მილოცვისა. დასასრულ მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორის ბ-ნ ნიკოლაევის ლოტბარობით აღსრულებულ იქმნა მოწაფეთა ხოროსა და ორკესტრის მიერ სადღესასწაულო კანტატა, რომლისათვისაც ლექსი დაუწერია ბ-ნ ოპოჩინინს და მუსიკა კი ბ-ნ ნიკოლაევს. კოხტა და ფართო დარბაზი, ფერადთა ზომიერ შეხამებით გამშვენიერებული, ძლივს იტევდა სადღესასწაულოდ მოწვეულ სტუმართა აუარებელს რიცხვს. საზოგადოების კმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა. სამწუხარო მოვლენად აღვნიშნავთ, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დაჰვიწყებია მიელოცნა განყოფილებისათვის ეს ღირსშესანიშნავი დღესასწაული.

---

## დაუხმარებით სკოლის გარეშ დარჩენილთ!

«ივერიის» მე-239 №-ში «ნარკვევის» განყოფილებაში, დაბეჭდილი იყო წერილი იმის თაობაზედ, თუ რამდენად დაბლა სდგას რუსეთი, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, სწავლა-განათლების მხრივ (სახელდობრ—3,3). ვინ არ იცის, რომ უსწავლელ-უცოდინარი ადამიანი, კაცია იგი თუ ქალი, იმ ბრმა გლახაკსა ჰგავს, რომელსაც პაწია ბავშვი დაატარებს ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად; ამას ბევრი განმარტება არა სჭირია,—საანბანო ჭეშმარიტებაა.

იმას გარდა, რომ რუსეთის სასწავლებლებში 1,500 სულზედ სკოლაში მხოლოდ ერთი სული სწავლობს, ამ ერთსაც ისტუმრებენ სკოლიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო!...

ამას წინად (ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული) მოწამე ვიყავით შემდეგის სურათისა: ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიიდან დაეთხოვნათ, სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო, ერთი მოწაფე ქალი. როდესაც ატირებული მოწაფე სახლში მიდიოდა, გზაში შეჰხვდა დიდად პატივცემული ქ-ნი ეკატერინე მ. ნადიროვისა, გამოჰკითხა მოწაფე-ქალს ყველაფერი დაწვრილებით, დაამშვიდა და ნუგეშიანად დააბრუნა სახლში. მეორე დღეს პატივცემულმა ქ-ნმა ეკ. ნადიროვისამ გიმნაზიაში შეიტანა დათხოვნილ მოწაფე ქალის ხვედრი შესატანი ფული და გახარებულმა ბავშმაც სწავლა განაგრძო. მართალია, საკუთარი ჯიბე, ცოტა არ იყოს, დასანანია, მაგრამ ნუ დავივიწყდება დიდებულ შოთას სიტყვები:

«რასაცა გასცემ,—შენია,
რაც არა,—დაკარგულია»!.

ზემო მოყვანილი ამბავი ჩვენის სკოლის ცხოვრებაში «არ ახალია,—ძველია»... ეს სულ ასე იქნება იქამდე, სანამ ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით არ მოეკიდება ჩვენის მომავალ ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეს... და ამიტომ მივმართავ ქართველ საზოგადოებას და მივაქცევ მათს ყურადღებას შემდეგს გარემოებაზედ:

როგორც ჩვენის გაზეთის 240 №-ში იყო დაბეჭდილი, 18 ოკდომბერს ტფილისის სამხატვრო სასწავლებლიდგან დაითხოვეს ოცდასამი (23) მოწაფე, სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო, და არც დრო მისცეს, რომ ეგების ნაწილი მაინც ეშოვნათ როგორმე და სწავლას არ მოცდენილიყვნენ. ამ ოცდასამ დათხოვნილ მოწაფეთა შორის რვა ქართველია (გვარები უკვე იყო დაბეჭდილი). ყველა ესენი სკოლის გარედ უნდა დარჩნენ, თუ რომელიმე მადლიანმა საშველად ხელი არ გაუწვდინა!.. მერე, ვინ იცის, რამდენია ამათ შორის საუკეთესო მოწაფე?!..

დიაღ, ასეთ სამწუხარო სურათსა ვხედავთ დღეს ჩვენ და, ნუ თუ არავინ მიჰ-

---

# ფელეტონი

—

### ექიმთან.

(სურათი)

ზამთარი იყო. თოვლით დაფენილი სოფლის გზა-ტკეცილი ჯერ ისევ ხელ-შეუხებელი იყო. სიცივისაგან შეშინებული სოფელ მოხევის მცხოვრებლები გარედ გამოსვლას ძურ ჰბედავდნენ და ნახევრად დანგრეულის ქოხმახების ბუხრებთან თბებოდნენ.

ხმა არსაიდან ისმოდა...

სოფლის განაპირას, ერთს მიწურს შენობაში, სცხოვრობდა გლეხი სოსიკა სარაშვილი. სოსიკა განთქმული იყო თავის სოფელში, როგორც მოქეიფე და მეტად მხიარული ადამიანი. ჯერ ოცის წლისა არც კი იქნებოდა, რომ მან შეირთო ცოლად თავის მეზობლის ქალი. მალე მას ეყოლა ქალი-შვილი და დაარქვა თამარი.

სოსიკა იძულებული გახდა მეტის მხნეობით მოჰკიდებოდა საქმეს და მოეწყო ოჯახი.

ამ საქმეში ძალიან ბევრსა შველოდა მოხუცებული სიმამრი, დათიკა; მაგრამ სოსიკამ ისევ სმას მიჰყო ხელი და საქმებიც აეწეწ-დაეწეწა. ამ უბედურებას მოჰყვა კიდევ ერთი, არა ნაკლები უბედურება: დათიკა ორივ თვალით დაბრმავდა. უიმისოდაც გადატაკებულს ოჯახს, არამც თუ ერთი მომუშავე მოაკლდა, არამედ დააწვა მას მეტ ბარგად. ამისთანა მდგომარეობა დღითი-დღე აუტანელი ხდებოდა. ცოლსა და ქმარს ხშირად უსიამოვნება მოსდიოდათ და ერთმანეთს ყვედრებით ავსებდნენ.

მოხუცებული დათიკა კი ყურს უგდებდა შორიდან მათს ლაპარაკს და მწუხარებით გული უსივდებოდა.

ის ძალიან კარგად გრძნობდა, რომ უსიამოვნება მარტო იმისთვის მოსდიოდათ, მაგრამ კარგად გრძნობდა იმასაც, რომ ის იძულებული იყო მათთან ეცხოვრა... ერთად-ერთი ნუგეში მოხუცებულისა იყო პატარა, ცუგრუმელა თამარი, რომელიც ერთავად გვერდით უჯდა უსინათლო პაპას, ელაზღანდარებოდა და ართობდა..

დათიკასაც უყვარდა თამართან ლაპარაკი... ის დროებით მაინც ავიწყებდა ვარამს და ნამდვილის ბავშვურის გატაცებითა ჰყვებოდა ცქრიალა თამროს.

მაგრამ მდგომარეობა უფრო რთულდებოდა და რთულდებოდა...

—

ერთხელ ხმა დავარდა სოფელში, რომ დანიშნული ექიმი უკვე მოვიდაო.

სოსიკას ოჯახშიაც დაიწყეს ამაზედ ლაპარაკი.

— ერთხელ როდისმე უნდა ექიმს ვაჩვენოთ მამა-ჩემი,—ეუბნებოდა ცოლი თავის ქმარს, რომელიც მისჯდომოდა ბუხარს და დასველებულს წინდებს იშრობდა,—იქნება ეშველოს რამე...

— არა მგონია, რომ რამე ეშველოს, ცივად უპასუხა ქმარმა და უფრო ახლო მიუჯდა ბუხარს.

მან მწუხარებით გადახედა მამას, რომელიც განუძრევლად მოკეცილი იჯდა ტახტზედ.

— მაინც ვაჩვენოთ, რა გვეხარჯება? შეეკითხა რამდენისამე ხნის შემდეგ ცოლი სოსიკას და ჩააცქერდა თვალებში.

— ფულები ვინ მოგცა მერე? სთქვა მოუთმენლად სოსიკამ და წამოდგა.

— გლეხებს არ ართმევს ფულს,—უპასუხა ჩუმად ცოლმა.

— გლეხებს არ ართმევს ფულს!.. გააჯავრა სოსიკამ:—მერე რა იცი, რომ არ ართმევს? მე კი ნამდვილად ვიცი, რომ, მოვიდა თუ არა ექიმი, მაშინვე ისა სთქვა, უფულოდ არავის ვუწამლებო.

— მე მაქვს ერთი მანეთი,—უთხრა ცოლმა.

— მერე რომ გაქვს? დაუღრიალა ქმარმა და თვალები გადაუბრიალა.

— შვილებო, შვილებო!.. ნუ ჯავრობთ!—გასცა ხმა დათიკამ,—ოღონდ თქვენ იყავით მხიარულად და მე... მე რა მიშავს. თქვენ ჯერ ახალგაზდები ხართ, მე კი გავლილი მაქვს ჩემი გზა...

შერცხვათ ცოლ-ქმართ, დაჩუმდნენ...

რამდენსამე ხანს სიჩუმე იყო. მხოლოდ ბუხარში ტკაცა ტკუცი გაჰქონდა ხმელს შეშას.

თამარი, რომელიც აქამდის გაჩუმებული იჯდა პაპასთან და უყურებდა მშობლების ლაპარაკს, ადგა და მივიდა დედასთან.

— დედა!.. უთხრა მან:—მომეცი ფული, მე უნდა პაპა ექიმთან წავიყვანო.

დედამ სიყვარულით შეხედა შვილს, თვალი გადაავლო მამას და მერე მწუხარებით ჩააცქერდა ქმარს.

— წაიყვანოს,—უპასუხა ქმარმა, და ბუზღუნით გავიდა გარედ.

—

— ნელა, შვილო, ნელა!..—ეუბნება მოხუცი შვილისშვილს,—არ დაიღალო.

— მე არაფერი მიშავს, პაპა, ოღონდ შენ არ დაიღალო. ხომ არა გცივა?—შეეკითხა თამარი პაპას და მზრუნველობით გაუსწორა ძველი დაკონკილი ფარაჯა.

— არა მიშავს-რა, არა მიშავს-რა!.. რას ამბობდი, შვილო, კარგი ექიმიაო?

— ჯერ არაფერი იციან: ახალ მოსულია.

— ახ, ნეტავი კი... ნეტავი მეშველოს რამე!.. ვეღარ ვიტან, შვილო... ჩემის გულისათვის მალ-მალე ჩხუბი მოსდით ხოლმე... მე თქვენთვის უფრო მინდა მორჩენა, შვილო!..

— აი ეხლავე მივალთ ექიმთან და ის მოგარჩენს,—ანუგეშებდა თამარი და ცდილობდა გაემხიარულებინა მოხუცებული პაპა.

— აგერ, რა ამბავია, რა ამბავია, პაპა!.. წამოიძახა ერთბაშად თამარმა, მაგრამ მალე ტუჩებზედ იკბინა: იმას სრულიად გადაავიწყდა, რომ პაპა უსინათლო იყო.

— რაღას უნდა ვუყურო, შვილო, ვეღარაფერს ვხედავ! სთქვა დათიკამ და მწარედ ამოიოხრა.

ექიმთანაც მივიდნენ.

ექიმმა რამდენსამე ხანს აცდევინა კარებთან და ბოლოს მიიღო.

თამარი შევიდა ექიმის ოთახში და შეიყვანა დათიკა.

— შენ რა გტკივა?—დაეკითხა ექიმი.

— მე უსინათლო გახლავარ, შენი ჭირიმე, უპასუხა დათიკამ.

— დიდი ხანია, რაც ვეღარა ხედავ?

— სამი თვე იქნება.

— ეს პატარა ქალი ვინ არის?

— ჩემი შვილი-შვილია, შენი ჭირიმე.

— შენც ამასთანა სცხოვრობ?

— დიაღ, შენი ჭირიმე.

— აბა მიჩვენე თვალები...

ექიმი მივიდა დათიკასთან და დაუწყო სინჯვა.

თამარი შეჰყურებდა ექიმს და თითქოს თვალებით ემუდარებოდა, — მამირჩინე პაპა, რომელიც მე ძალიან მიყვარს და რომლის გულისთვინაც იმისთანა უსიამოვნება მოსდით ჩემს დედ-მამასაო.

— ძალიან ცუდათ ყოფილა შენი საქმე!.. უთხრა ექიმმა, რო გაათავა დათიკას სინჯვა.

— ხომ მაინც მორჩება? კრძალვით შეეკითხა თამარი.

ექიმმა შეხედა თამარს, მაგრამ კი არაფერი უპასუხა.

— რატომ არა წამლობდი?

— ვისთან უნდა მეწამლა, ბატონო? თქვენს წინად ჩვენ ექიმი არა გვყოლია.

— მე ეხლა წამალს მოგცემ, დღეში ორჯერ თვალებში ჩაიწვეთე ხოლმე. ხვალ ამ დროს ისევ გამოიარე.

ექიმმა წამალი გამოატანინა მოსამსახურეს, რომელიც თითქმის ფელშრის თანამდებობას ასრულებდა, და მისცა მოხუცს დათიკას.

თამარმა გაუშვირა მანათი.

ექიმმა შეხედა ბავშვს, გაიცინა... მაგრამ მაინც გამოართვა.

მეორე დღეს, დაბარებისამებრ, დათიკა მივიდა ექიმთან.

ამ ჟამად ექიმთან აუარებელი ავადმყოფები მოსულიყვნენ. გაბოროტებული ექიმი ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან და დარიგებას აძლევდა.

თამარმა შეიყვანა დათიკა ოთახში და სხვა ავადმყოფებში ჩააყენა.

— შენ რაღათ მოხვედი? მკვახედ შეეკითხა ექიმი დათიკას.

— თქვენ მიბძანეთ, შენი ჭირიმე...

ექიმი მიუბრუნდა მოსამსახურეს და ხელების შლით უთხრა:

— უთხარი ამას, რომ აღარაფერი ეშველება!.. გააგებინე ამ გამოყეყეჩებულს, რომ აღარაფერი ეშველება...

ექიმმა მკლავში ხელი წაავლო დათიკას, მიაბრუნა კარებისაკენ და თითონ სხვა ავადმყოფებს დაუწყო ლაპარაკი. თამარს ცრემლები მოუვიდა თვალებზედ და ტუჩები აუთამაშდა...

— წამოდი, შვილო, მე... მე აღარაფერი მეშველება!.. წაილუღლუღა მოხუცმა და თვალებიდან მწარე ცრემლები გადმოსცვივდა...

ბარელი.

ბაძავს პატივცემულ ეკატერინე ნადიროვის მაგალითს? ნუ თუ ჩვენი ვალი არაა, რომ სიცოცხლეში დავეხმაროთ ამ უმწეო ახალგაზრდებს და, როცა მოჰკვდებიან, მაშინ კი თუნდა ებრაელებს მივბაძოთ და მათ საფლავს ქვები მივაყაროთ!..

ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდებიან თანამგრძნობნი და ხელს გაუწვდიან ზემოდ დასახელებულთ. ვიმედოვნებთ, რომ ეს სიტყვები არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოს შინა“.

დიმ. ჯაში.

## საქართველო

**დაბ. საჩხერე.** ქალის მოტაცება. კნ. წ—ის ბიჭს მოსიაშვილს თურმე ძლიერ მოსწონდა ივანე ფოფხაძის ქალიშვილი, იქვე საჩხერეში მცხოვრები, და მისი ცოლად შერთვა სდომებია. მაგრამ ქალი დიდ უარზედ მდგარა, მე სხვა მიყვარს და შენ ცოლად ვერ წამოგყვებიო,—ეთქვა მოსიაშვილისათვის. დადარდიანებული ტარიელი თავის ქალბატონს შეევედრა, შეეხვეწა, დამეხმარეთ ამ საქმეში და ის ქალი დამითანხმეთო. პატივცემულ კნეინას დიდი იმედი მიუცია მოსიაშვილისათვის: «მაგის ჯავრი ნუ გაქვს, მე მოგიხერხებ ამ საქმეს, იმ ქალს უარს არ გავაბედვინებო». მართლაც, მაშინვე გაუგზავნია კნეინას თავისი მოურავი, მოსამსახურე თათრები და ბიჭები ეტლით ივანე ფოფხაძის ქალის მოსატაცებლად. მოურავმა ცალკე გამოიხმო გარედ ივანე ვითომდა საჭირო საქმისათვის. ამ დროს სახლში შეცვივდნენ კნეინას ბიჭები, სტაცეს ხელი ქალს, წივილ-კივილით გამოათრიეს გარედ და ეტლში ჩასვეს. ქალის მამამ შეჰქმნა საცოდავი ღრიალი, ყვირილით დაედევნა უკან გაქანებულს ეტლს. გავარდა თოფი ფოფხაძის შესაშინებლად, მაგრამ ის მაინც არ შეჩერდა და ყვიროდა: „არიქა, მიშველეთ, გაჩნდა ლეკობა-თათრობა! ქალი მომტაცესო“, და დაეშვა შუა ბაზარზე. არავინ მისი მშველელი არ გამოჩნდა. პირიქით, უკბილო ოხუნჯობა დაიწყეს. გაავთრებული მამა მივარდა ბოქაულის ბინაზე, მაგრამ იმას ეძინა და მწერალმა დარაჯებისკენ მიასწავლა. დარაჯებმაც ერთხანს ყური არ ათხოვეს თურმე, ბოქაულის მოწერილობა მოგვიტანე და წამოგყვებითო. ბევრის ხვეწნა-მუდარისა თუ მუქარის შემდეგ, იკადრეს უკან გამოდევნება დარაჯებმა, მივიდნენ კნეინას სახლში, მაგრამ კნეინამ პირიქით დასტუქსა ისინი, რა ნება გაქვთ, რომ მოსულხართ ჩემთანაო. მამა კი დაჟინებით ეხვეწებოდა,—მიშველეთ, გამომიყვანეთ ჩემი შვილი, თორემ მეც თავს მოვიკლავ და არც ის დარჩება ცოცხალიო! დარაჯები უკანვე დაბრუნდნენ. ქალის მამა ეზოში ღრიალებდა, ქალიშვილი ფანჯარაზე მომდგარიყო თმა-გაბურძგნული, გაწეწილი და ტანისამოსშემოხეული. კნეინამ ურჩია, რომ დათანხმებულიყო მოსიაშვილის ცოლობაზედ, მაგრამ ამ რჩევამ არ გასჭრა; მაშინ კნეინას უბრძანებია, სხვაგან წაიყვანეთო, და თან ლანძღვა დაუწყია. საბრალო ქალს უფიქრია, სხვაგან რომ წამიყვანონ, ნამუსს ამხდიანო და ფეხს არ იცვლიდა კნეინას სახლიდგან. აქ რომ ასეთი ამბავი იყო, ვიღაც კაცს, ფოფხაძის ქომაგს, მოსიაშვილის (სასიძოს) საბძელისათვის ცეცხლი წაეკიდებინა იმ ღამესვე და მთლად გადაეწვა ჩალით, ბზით, თივით, საწნახელით და სხვა ხის მასალით. მაშინ კი თვითონ სასიძო შეეხვეწა კნეინას, გაუშვით ის ქალი, თორემ უფრო დიდ მარცხს შემამთხვევს ეს საქმეო.

გაუშვეს საწყალი ქალი. მამამ თავის სახლში წაიყვანა და ამ ნაირად დაიხსნა ძალ-მომრეობისაგან თავისი პირმშო. პატივცემულ კნეინასი დიდი მადლობელია მთელი საჩხერე, რომ დედათა სკოლა დაუარსა, მაგრამ ეს კი არ მოსწონს, რომ მისის მეოხებით ამ საწყალ ქალის პიროვნება-უფლება შეურაცხჰყვეს და კინაღამ ნამუსიც აჰხადეს. მეორე დღეს ბოქაულმა გამოიძია ეს საქმე და შეადგინა ოქმი. შიშითა და მწუხარებით ქალი-ქალს აღარა გავს და კაცი-კაცს. ამისთანა ამბები ხშირია. აქეთ ერთის თვის წინად დურეველ ნადირაძეს მოსტაცეს ქალიშვილი და გააუპატიურეს.

დ. ქვაცხედი

## რუსეთი

როგორც გაზ. «გრაჟდანინ»-ი გადმოგვცემს ის ხმები, ვითომ ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი თანამდებობას თავს ანებებდეს, მოკლებულია სიმართლეს.

— «დეილი ტელ.» იუწყება, რომ რუსებს აზრად აქვთ შეჰქმნან ახალი ფლოტი, რომელიც 400 მილიონი მანეთი დაჯდება და რომელიც უმთავრესად გერმანიაში იქნება აგებულიო.

— პეტერბურგის გაზეთებში შემდეგი ცნობებია მოთავსებული სტუდენტ მალიშევის შესახებ: «დღეს გავიგეთ, რომ 9 ოკდომბერს თავი მოიკლა სატეხნოლოგიო ინსტიტუტის სტუდენტმა ივანე მალიშევმა, რომელსაც ბრალი ედებოდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ამ სიკვდილმა მოსწავლე ახალგაზრდებში მოძრაობა გამოიწვია, რომელთა შორისაც ხმები იყო გავრცელებული, ვითომ მალიშევი ტყუილ-უბრალოდ დაატუსაღა მთავრობამ და თავის მოკვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სატუსაღოში მეტად მკაცრად ეპყრობოდნო. ამ ხმებს მოჰყვა ჰექტოგრაფით გადაღებული ფურცლები, რომლითაც ახალგაზრდობას იწვევდნენ საერთო პროტესტის გამოსაცხადებლად, რაც უნდა მომხდარიყო, 17 ოკდომბერს ყაზანის სობოროს მოედანზე.

მალიშევი დააპატიმრეს 8 ივლისს და სატუსაღოში დაჰყო თითქმის 3 თვე. ამ უკანასკნელს ჰბრალდებოდა ფარულ საზოგადოების წევრობა და აგიტაცია მუშათა შორის, რომ შეიარაღებულთ უწესოება მოეხდინათ მინისტრის ფონ-პლევეს დასაფლავების დღეს.

სიკვდილის წინ მალიშევს მამისათვის წერილი მიუწერია, რომელშიაც, სხვათა შორის, აი რასა სწერს: «მომძულდა სიცოცხლე და ამის მიზეზი სატუსაღოროდია. მიზეზი თვით ჩემშია: ცხოვრებისათვის უვარგისი ვარ, უნდა გამოვტყდე, კარგა ხანია განზრახული მქონდა თავის მოკვლა».

— «გრაჟდანინ»-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი ცნობანი იმ ინცინდენტის შესახებ, რომელიც გამოიწვია სტუდენტ მალიშევის სიკვდილმა. ხუთშაბათს, 14 ოკდომბერს რამდენსამე მოსწავლე ახალგაზრდას თავი მოეყარა საპყრობილეს წინ და აპირებდნენ დემონსტრაციის მოხდენას. იმ წამსვე გამოწვეულ იქმნენ ჟანდარმები და პოლიციელნი, მალე თითონ გრადონაჩალნიკიც მობრძანდა, რომელმაც, დაითხოვა რა პოლიციელნი, მიუბრუნდა ახალგაზრდობას შემდეგის სიტყვით: „როგორც ჰხედავთ, მე მარტოდმარტო დავრჩი და ეს ჩავიდინე იმიტომ, რომ მრწამს თქვენი კეთილ გონიერება. მრწამს, როგორც კი გთხოვთ დაშლას, იმ წამსვე დაიშლებით და აქედან წახვალთ“. ამ სიტყვების შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობა ნელ-ნელა დაიშალა. (გრაჟ.).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქ-ბნი ბაზანკური ამბობს «ბირჟ. ვედ.»-ში, რომ იურიდიულად დედაკაცი დაბლა არა სდგას რუსეთში დასავლეთ ევროპის დედაკაცზეო. მართალია, კანონით ქმარს ცოლზედ განუსაზღვრელი უფლება აქვს, მაგრამ ცხოვრებამ არაწერილი კანონი შეიმუშავა, ჩვეულება, რომელმაც მიანიჭა დედაკაცს უფლება საკუთარის ქონების შეძენისა და მოხმარებისაო.

M-me სუდე-დარკე ამტკიცებს თავის ლექციებში,—განაგრძობს ბაზანკურის ქალი,—რომ დედაკაცმა დაჰკარგა თვისი უფლებანი მას აქეთ, რაც იგი ჯან-ღონით დასუსტდაო. ამიტომ დედაკაცისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შეიძინოს ძალა ეკონომიური, ზნეობრივი, მოქალაქობრივი და სხვა-გვარი. ხოლო როცა ძალას შეიძენს, უფლებანიც თავის თავად მოვა.

რუსეთის დედაკაციც ასე უნდა მოიქცეს,—ძალა შეიმოსოს, ძლიერი შეიქმნას ყოველ მხრივ, ჰქუა განივითაროს, შეიმოსოს სული გამბედავი. ნასახი ყოველ ამისა რუსის დედაკაცს სხვა ქვეყნის დედაკაცზედ ნაკლები არა აქვს. ინგლისელსა და ამერიკელს დედაკაცს თუ ჩამორჩება ამ მხრივ უკან, თორემ სხვას არავის.

მაგრამ ეს ნუგეში არ კმარა. უკეთესის სურვილი უნდა უღვივოდეს მუდამ ყველას გულში. ვინც გულს იმშვიდებს და ამბობს, მადლობა ღმერთსაო, და აღარ მხნეობს, იგი აუცილებლად უკან-უკან წავა, დაიღუპება.

## თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი. ოპერა.** ღირსია კაცმა ნახოს ოპერა „ნერონი“—დიაღ, ნახოს და არ კი მოისმინოს... რადგანაც ამ ოპერაში სანახავი ბევრია, მოსასმენი კი არაფერი. თქვენ ამ ოპერაში ჰნახავთ ძველ რომაელთა ტანისამოსს, რომის ძველს ხუროთმოძღვრებას, ავგუსტოსის მატურს და, რაც უფრო თავი და თავია—გამძვინვარებულს სტიქიონს—ცეცხლს, რომელსაც ნერონი თავისს ვითომდა არტისტიულ სულთა სწრაფვის დასაოკებლად რომს წაუკიდებს. ეს ყველა კარგია, ბ ნ დონსკოის შრომა და ხარჯი არ დაუზოგავს, რომ მოეწყო და გაემშვენიერებინა „ნერონი“, მაგრამ, ქართულის ანდაზისა არ იყოს „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ჰხეხო ქვიშითაო“,—მაინც ამ მშვენიერმა სანახაობამ ვერ მისცა ელფერი ოპერის უშინაარსობას, უმუსიკობას, თუ ასეთი თქმა შეიწყნარება. გულს გიწყალებს და შენ და უნებურად თვალებს გიხუჭავს ჰანგთა უფერული, ერთკილოვანი ხასიათი. არსად მელოდია, არსად დრამატიული შეხამება მუსიკალურ წინადადებათა, არსად ისეთი მიმოხვრა ხმისა, რომელიც გინდოდეს, რომ განმეორდეს... მაგრამ ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, თვით ავტორი ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას... რჩება მხოლოდ ცნობილი ეპიტალამა, რომელსაც ბარიტონი ვინდექსი მღერის, მაგრამ ამ ჰანგსაც დიდი ნაკლი სცხია: არ შეეფერება სცენიურ გარემოებას. ვინდექსი, მართალია, სადღესასწაულო ჰიმნს უმღერის ქორწინების ღმერთს ჰიმენეს, მაგრამ ამასთანავე დასცინის ნერონისა და კრიზას მასხარულ შეუღლებას და სწორედ ეს დაცინვა, სარკაზმი არა მეტყველებს ამ ჰანგში. ბ-ნმა პოლუიანოვმა უფრო გააჰარბა ეს ნაკლი, რადგანაც დიადობის ელფერი გააძლიერა და დამცინავი იერი მიასუსტა. კერძოდ როლების აღმასრულებლებზედ არას ვიტყვით, რადგანაც, ჯერ ერთი, მეტის-მეტად ბევრნი არიან და სიტყვა გაგვიგრძელდება და, მეორეც—ისიც კმარა, რაც ღონე და ძალა დაუხარჯავთ არტისტებს ამაო საქმისათვის. საერთოდ კი კარგად არიან მომზადებულნი და ყველა თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ი.

**ქართული წარმოდგენა ქუთაისში.** ხუთშაბათს, 21 ოკდომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით, წარმოადგინა „შემოსავლიანი ადგილი“, კომ. 5 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა.

ქ-ნმა ნინო ჩხეიძემ (პოლინა) კარგადაც იცოდა როლი და მშვენიერადაც შეასრულა. ქ-ნი რონელი (იულინკა) კარკად ასრულებდა როლს, ოღონდ სიჩქარე და დაუფიქრებლად ლაპარაკის დაწყება უშლიდა ხელს. ბ-ნი გამყრელიძე (არისტარხ ვლადიმიროვიჩ ვიშნევსკი) კარგი იყო. ბ-ნი ვ. მესხიშვილი აკიმ აკიმიჩ იუსოვის როლში საუცხოვო იყო. ყოველი მისი მიმოხვრა ტაშის ცემას იწვევდა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ბ-ნმა ზარდალიშვილმა; იგი ბ-ნ გვარაძის ავადმყოფობისა გამო მოუმზადებლად გამოვიდა ვასილ ნიკოლაევიჩ ჟადოვის როლში და შესამჩნევადაც ჩაატარა თვისი როლი. საზოგადოება ძლიერ მადლიერი დარჩა და მრავალჯერ გამოიწვია. ბ-ნი აწყურელი კარგი იყო მოქნილის, დაცემულ-გაიძვერა ონისიმ პავლოვიჩის როლში.

საერთოდ პიესა მშვენიერის ანსამბლით წარმოადგინეს და საზოგაოებაც საკმაოდ იყო თეატრში. ბ-ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის შრომით ჩვენმა ქართულმა სცენამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, როგორც პიესების ამორჩევით, ისე როლების ზედმიწევნით შესწავლითა და თამაშობით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

23 ოკდომბერი.

**ლონდონი,** 22 ოკდომბერი (რეიტერი). ექვსის დღის იერიშის შემდეგ, იაპონელებმა მხოლოდ ფორტი ვანიუსანი აიღეს. ამ ფორტს იაპონელები ბაზად გამოიყენებენ, რუსის პოზიციებს ზარბაზანს დაუშენენ და კიდევ ეცდებიან, რომ ციხე იერიშით აიღონ. 11 ოკდომბერს გამოაცხადეს, 12 ოკდომბერს, დილით, იერიში დაიწყებაო. გათენებისას ზარბაზანი დაუშინეს ფორტებს და ნაშუადღევის 5 საათამდე ესროდნენ. 5 საათზე იაპონელების 1 პოლკი ერლუნგშანის აღმოსავლეთით მდებარე თხრილებიდგან წავიდა იერიშით, მეორე პოლკი კი—ერლუნგშანის დასავლეთით მდებარე თხრილებიდან. რუსებმა ყუმბარები დაუშინეს ამ პოლკებს. როცა აღმოსავლეთის რაზმმა ერლუნშანგის ფორტის სიმაგრეებს მიაღწია, რუსებმა მიწაში ჩაფლული ნაღმები (ფუგასი) ააფეთქეს და ორიოდე იაპონელი რამდენისამე ას მეტრის მანძილზე გადაისროლეს; მაგრამ იაპონელებმა საღამოს ექვს საათზე მაინც აიღეს ორისავე გორის სიმაგრეები. 14 ოკდომბერს რუსებმა მედგარი იერიში მიიტანეს იაპონელებსა და იმათ თხრილებზე ერლუნგშანის დასავლეთით. 14 ოკდომბერს, ღამით, რუსებმა კიდევ ოთხჯერ მიიტანეს იერიში იაპონელების თხრილებზე ერლუნგშანის დასავლეთ მხარეს. იაპონელებს აგვისტოს შემდეგ იერიში სულ ღლისით მიჰქონდათ რუსის პოზიციებზე; აქედან სჩანს, რომ რუსთა ელექტრონის პროჟექტორები მარჯვედ მოქმედებდა.

**ლონდონი,** 23 ოკდომბერი (რეიტერი). იაპონიის გარეშე სესხი (12 მილიონი გირვანქა სტერლინგი) საბოლოოდ გადასწყდა. სესხის გამოცემა უთუოდ დამოკიდებული იქნება აქაურ ფულის ბაზრის მდგომარეობასა და ომის მსვლელობაზე

**სტოკჰოლმი.** (ვოლფი). როგორც მთავრობის მოხელენი აცხადებენ, ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია უცხოეთის გაზეთებში გავრცელებული ამბები, ვითომ იაპონიის ნაღმიანი გემები შვეციისა და ნორვეგიის წყლებში ყოფილიყვნენ.

**მუკდენი,** 23 ოკდომბერი (საავ. საკუთ. კორესპონდ.). ამ უკანასკნელ ორ დღეს იაპონელები არა სცდილან წინ წაწევას. ისინი მხოლოდ ყუმბარებს უშენენ ჩვენს პოზიციებს.

**დაძიაპუ,** 23 ოკდომბერი (საავ. საკუთ. კორესპონდ.). ყოველ დღე ზარბაზნების უმნიშვნელო სროლაა. რუსებისა და იაპონიის ჯარი ერთმანეთს ძალიან დაუახლოვდნენ.

**ტანჟერი,** 23 ოკდომბერი (რეიტერი). რუსის მთელი ფლოტი ატლანტიის ოკეანესაკენ წავიდა. ფლოტს თან ახლავს ორი ნახშირის გემი და ერთი გემი-საავადმყოფო.

**მუკდენი,** 23 ოკდომბერი (საავ. საკუთარ. კორესპ.). სამხრეთიდან 30 ათასი ჩინელი მოვიდა. ესენი იაპონელთა სისასტიკეს გამოექცნენ. ის სოფლები, სადაც მტერი იმყოფება, სულ ერთიანად დაცარიელდა. მოსავალი იაპონელებმა წაიღეს. მოდიან იაპონელი ჯარის კაცები. ჩივიან, რომ გვცივა და საჭმელი არა გვაქვსო; ამასთანავე თხოულობენ, ნუ გაგვამხელთ, რომ გამოვიქეცითო.

**კიევი.** გამოაცხადეს, რომ კიდევ მიიღებენ მსურველთ, რომლებიც შორეულ-აღმოსავლეთში თავის ნებით მოინდომებენ წასვლას. იმათაც მიიღებენ, რომელნიც სამხედრო სამსახურში არა ყოფილან, თუ 21 წლისაზე ნაკლებისა არაა.

**პარიჟი.** პალატის სხდომის გათავებისას, საღამოთი, ნაციონალისტმა სივეტონმა სილა გაარტყა სამხედრო მინისტრს. პალატამ დაადგინა, დროებით სივეტონი დეპუტატთა სიიდგან ამოირიცხოს. სივეტონი ძალით გაიყვანეს. სივეტონმა ძალიან მაგარი სილა შემოჰკრა მინისტრს, რის შემდეგაც არეულობა მოხდა. მთელი პრესსა. თითო-ოროლა გაზეთის გარდა, ჰკიცხავს სივეტონის საქციელს.

დე-კასანიაკი ნაწლავების ანთებით გარდაიცვალა.

**პარიჟი.** ექიმის ბეჯით მოთხოვნით, სამხედრო მინისტრი ანდრე სახლიდგან გარედ არ გამოდის, თუმცა სახე, ეტყობა, სერიოზულად არა აქვს დასიებული. მსუბუქად აციებს. მინისტრ ანდრეს ყველა ჯგუფის წევრებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს.

**ვენა.** (ბერლინიდანაა მიღებული). კერბერმა იმპერატორს დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა ინსბრუკში მომხდარ ამბების შესახებ. მთავრობა იტალიურ ენაზე ლექციების კითხვას შეაყენებს. ავსტრიის სამინისტროს მდგომარეობა მეტად სერიოზულად მიაჩნიათ.

**კილი,** 23 ოკდომბერი (ბერლინით). ყინულის მჭრელი გემი „ერმაკი“ კილის ნავთსადგურში შევიდა. «ერმაკი» ძლიერ დაზიანებულა და ლიბავის ნავთსადგურამდე მისვლა ველარ შეიძლო.

24 ოკდომბერი

**პეტერბურგი.** ებოძათ გენერალ-ლეიტენანტობა: აღმოსავლეთს ციმბირის მსროლელთა მეშვიდე დივიზიის უფროსს კონდრატენსკოს, ზაბაიკალის ყაზახთა ბრიგადის უფროსს მიშჩენკოს და გენერალ-ადიუტანტადაც დაინიშნა. დაინიშნენ: გენერალ-მაიორი რაგოზინი—მესამე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად, გენერალ-მაიორი ვალუევი—მეექვსე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად.

**ვლადივოსტოკი,** 23 ოკდომბერი-ღამის 4 საათზე დიდი ჭექა-ქუხილი იყო. გუშინღამ თოვლი მოვიდა.

**დაძიაპუ.** (საკ. საავ. კორ.). 21 ოკდომბერს, ღამით, მოხალისეები სოფ. ჩინეიზის პოზიციებზე იაპონელებს უცებ დაეცნენ თავს და უზარალოდ ისევ უკან დაიხიეს.

**ესპარტელის კონცხი,** 23 ოკდომბერი (რეიტერი). დილის $8^1/_2$ საათზე დასავლეთისკენ რუსის ესკადრამ გაიარა. ესკადრაში ხუთი ჯავშნიანი გემი, ხუთი კრეისერი, ორი საბარგო გემი, ერთი საავადმყოფო და ერთიც სურსათითა და ქვანახშირით დატვირთული გემი იყო.

**ბიზერტა,** 23 ოკდომბერი (ჰავასი). მოვიდნენ კონტრ-ნაღმიანი გემები «ბოდრი», «ბეზუპრიოჩნი» და «ბლესტიაშჩი».

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). რუზველტმა განცხადება გამოსცა და დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატის პარკერის ბრალდება უარ-ჰყო, როგორც განზრახ შეთხზული სიცრუე. პარკერი საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებში ბრალსა სდებდა რუზველტს, ვითომ ტრესტებისათვის ძალით ფული გამოერთმიოს.

**ვენა.** ბრძანება იტალიურ ლექციების აღკრძალვაზე არ გამოუციათ, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ იტალიელ სტუდენტების დატუსაღებისა და შენობის დანგრევისა გამო, ლექციების კითხვა არ დაიწყება მალე.

**პეტერბურგი.** გენ.-ად. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა: 1) 22 ოკდომბრის თარიღით: «ხელუნძიანის პროვინციის რუსეთის კომისარი გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ბოგდანოვი ორის თარჯიმანითა და ერთის შიკრიკით ადგილების დასაზვერად წავიდა მონღოლიისაკენ. 20 ოკდომბერს, ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზის სადგურ დუიშინცანიდან 20 ვერსის მანძილზე პოდპოლკოვნიკ ბოგდანოვს ხუნხუზები დაეცნენ, თვითონ ბოგდანოვი ტყვედ წაიყვანეს და ერთი თარჯიმანი მოჰკლეს. გუშინ გაგზავნილმა ცხენოსნებმა რკინის გზის ახლო პოდპოლკოვნიკ ბოგდანოვისა, თარჯიმანისა და ჯარის კაცის გვამები იპოვეს და ორი ხუნხუზი დაატყვევეს. გვამები ხარბინს მოასვენეს. დამნაშავეთა მოსაძებნად და საქმის გამოსაძიებლად ჩვენცა და ციციკარის ძიანძიუნმა ღონისძიება მივიღეთ».

2) «23 ოკდომბრის თარიღით: «მტერმა გამოილაშქრა ჩვენის ერთის პოლკის წინააღმდეგ ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთაზედ. იერიში უკუ-ქცეულ იქმნა. იაპონელებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე 30 მოკლული. ჩვენ მოგვიკლეს—ერთი ზაურიად-პრაპორჩიკი და ხუთი ჯარის კაცი. დაჭრილი და გაკაწრული არის რვა ჯარის კაცი. 22 ოკდომბერს, საღამოს ჟამს, მოხალისეთა რაზმმა შეამჩნია სოფელ ცუალინძისთან ორის ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით სოფელ კუდიაძიდან იაპონელთა დიდი რაზმი, რომელიც ხევებს სჭრიდა და თავის პოზიციებს ამაგრებდა. ღამის 11 საათზე მორტირების ბატარეიამ ყუმბარები დაუშინა სოფელ ცუალინძის. იაპონელებმა უკან დაიწიეს. მოხალისეთა რაზმმა დაიჭირა სოფელი და გაიწია სამხრეთისაკენ, ორ ზურგიან გორისაკენ, ერთის ვერსის მანძილზე ციულონძიდან სამხრეთით, რომელიც ძალიან იყო გამაგრებული მტრისაგან. ჩვენმა რაზმმა მტერი შეაშინა და პოზიციების ქვეითა სანგრები დააცლევინა. მტერმა მზვერავთა რაზმი უფრო სამხრეთისაკენ დასწია.

მოხსენება 23 ოკდომბერს მტერთან შეტაკების თაობაზედ არ მოსულა“.

**მუკდენი.** (საკუთ. კორ.) ჩვენმა მზვერავებმა 21 ოკდომბერს ღამე საფარი გა-

აკეთეს სოფ. ხუანლინზანთან, ეცნენ ხიშტებით იაპონელთა ნახევარ როტას, დაუზარალეს 15 კაცი და, როდესაც იაპონელებს მიეშველნენ, უკან დაბრუნდნენ ოთხის დაჭრილით. 22 ოკდომბერს ჩვენმა მზვერავმა ჯგუფმა გამოდევნა იაპონელები თხრილიდან, რომელსაც აკეთებდა, და სულ ჩაანგრია. ჩვენ ორი დაგვეჭრა. მტერმა ძლიერი სროლა დაუწყო ზარბაზნით სოფელ შანლაძის წინ მდებარე სიმაგრესა. ჩვენმა ბატარეიამ სროლა დაუწყო სოფელ იუდელაძის და ცეცხლი წაუკიდა. იქიდან დაბრუნებისას იაპონელნი მოჰყვნენ ჩვენის მსწრაფლ-მსროლელთ ბატარეიების ცეცხლში. ჩვენები ესროდნენ იაპონელთა თხრილებსა და სოფელ ლანშიპუს.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორი მოვიდა.

**დმიტროვი.** მოიყვინეს 10 დაჭრილი; 8 ჯარის კაცი დააყენეს საგანგებოდ გაკეთებულს ლაზარეთში.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ღონის-ძიება მიიღეს, რომ ვაჭრებმა ფასები არ ასწიონ. პირველ საჭიროების საგნებზე. ერთი ვაჭარი პოლიციაში დააპატიმრა გენერალ-გუბერნატორმა.

**ხაბაროვსკი.** წავიდა მომქმედ ჯარში გენერალი ლინევიჩი, რომელიც მთავარსარდალმა გამოიწვია. სახელ-განთქმული გენერალი და გმირი პეკინისა ალტაცებით გააცილეს. საგრძნობელი სიტყვები წარმოსთქვეს. თუმცა მოხუცებულია, მაგრამ გენერალი აკვირვებს კაცს თავის სიმხნევითა და სულის ძლიერებითა.

**არიოლი.** ელეცის ქალთა წითელ ჯვრის კომიტეტმა გაამზადა ათასზე მეტი ბამბაზიის პერანგები ნეჟინის დრაგუნის პოლკის ჯარის კაცთათვის. გაამზადეს საცვლები ასის საწოლისა და 50 საწოლისათვის კიდევ ამზადებენ. კომიტეტმა დაადგინა, სთხოვონ კლუბების გამგეობათ, სათამაშო ქაღალდს ცოტა რამ გარდასახადი დაადონ.

**ლონდონი.** (რეიტერი). იაპონიის მისსიამ შემდეგი დეპეშა გამოაცხადა პორტ-არტურის სარდლისა: „მარჯვენა რაზმმა და შუბლის რაზმის ნაწილმა აიღო ფორტების შუნშუშანისადა ერლუნგშანის ნაწილი და აგრედვე ჩრდილოეთად მდებარე ტუნძიგუაშანის ფორტებისა; მეორე ნაწილმა შუბლის რაზმისამ, თუმცა ძლიერ ესროდნენ რუსები, მაინც აიღო ფორტი № 12, მაგრამ რუსებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში და ჩვენ იძულებულნი ვიყავით თავი დაგვენებებინა. გენერალმა ჩინოლემ კვლავ აიღო ისა და წაართვა სამი საბარო ზარბაზანი, ორი ტყვიის მფრქვეველი და სხვა იარაღი. იმავე დღეს სხვა რაზმმა აიღო ფორტი კობიამა, მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთად ტუნძიგუანშანიდან. 15 ოკდომბერს იაპონელებმა დაუწყეს თავდასხმა ნავთსადგურის აუზს და ესროდნენ როგორც დიდრონ, ისე ზღვის ზარბაზნებიდან. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილიდან დიდი აფეთქების ხმა მოისმოდა. 21 ოკდომბერს საშინელი სროლა დაუწყეს აუზს და სხვა ადგილებს ნავთსადგურის აღმოსავლეთად, სადაც 12 საათსა და 12 წუთზე ნაშუადღევს ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც დილის ოთხ საათამდე გასტანა.

**სუეცი.** (რეიტერი). ბრიტანიის კრეისერი «გერმიონა» მოვიდა, გაიარა არხი და ელის რუსის ფლოტის მოსვლასა.

**ვენა.** მოვიდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენელნი, რომ სავაჭრო ხელშეკრულობის მოლაპარაკებას დაესწრნენ.

**მინსკი.** შეადგინეს თანხა, რომ შეეწივნენ სახლობებს, ქვრივსა და ობლებს ამ ქალაქის მცხოვრებლებისას, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში დაიხოცნენ.

**ბალტა.** საგუბერნიო ერობამ დიდი ფული გადასდო იმ ჯარის-კაცთა სახლობათათვის, რომელნიც ამ მაზრიდან წაიყვანეს ომში.

### საღამოს დეპეშები.

25 ოკდომბერი.

**მუკდენი, 23 ოკდ.** (რეიტერი). ორივე ლაშქარნი ისე ახლო სდგანან ერთმანეთთან, რომ თავისუფლად მოძრაობა აღარ შეუძლიანთ. იაპონელნი ღამ-ღამობით იერიშით მიდიან რუსებზედ, რუსები შედიან იმ სოფლებში, სადაც იაპონელნი არიან და აშინებენ. ერთხელ რუსებმა ხელით ყუმბარა ესროლეს იაპონელ აფიცრების სადგომ შენობას. რუსთა მთავარი ბანაკი სდგა მოწინააღმდეგეთა აფიცრების უმთავრეს ჯარების ერთმანეთის პირდაპირ უჭერიათ პოზიციები ვაკეზედ. ხუნპოს გორაკი უჭირავს იაპონელთ, ხოლო სოსნებისა—რუსებს. მტერთა დაახლოვება ერთმანეთთან უდიდეს ბრძოლას გვიქადის. სოფ. ლინშიპუს ზოგი ნაწილი იაპონელთა ხელშია, ზოგი კი—რუსებისა. ტაშანის მახლობლად მდებარე ფინშიაპუდგან 20 ოკდომბერს მუკდენს მოვიდნენ ქალები და ბავშვები. ჯარების დიდ ნაწილს ისეთი ადგილი უჭირავს, რომ ადვილი არაა მისი იქიდგან გაძევება. ყოველსავე გაჭირვებას მამაცურად იტანენ.

**ლონდონი.** რუსთა აღმოსავლეთ ლაშქარში მყოფი „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი 24 ოკდომბრის თარიღით დეპეშით იუწყება, უკანასკნელ დღეებში ლაშქარი არ მოქმედებდაო. დღეს თოვლი მოვიდა. დიდის გაფაციცებით ემზადებიან მუკდენში საზამთროდ.

კუროკის ლაშქარში მყოფი «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი იუწყება,—წარსულ კვირაში ცივოდ, ქარიშხალი იყო, სეტყვა და თოვლი. დედამიწა გაიყინა. ჯარის კაცნი იშვიათად ანთებენ ცეცხლს, რათა რუსთა ყურადღება არ მიიქციონ. სადაც იაპონელნი ვერა თავსდებიან ჩინურ ქოხებში, ხელოვნურად აკეთებენ კარვებს და იქ არიან. ურიგებენ ტყავსარჩულიან ქურქებს. ლაშქარში ცვლილება არ მომხდარა.

**ტიანძინი, 25 ოკდ.** (რეიტერი). როგორც ტელინიდგან იუწყებიან, რუსებს ყოველ დღე მოსდით მაშველი ჯარები.

**ჩიფუ.** (ვოლფი). ვლადივოსტოკიდან მოვიდა გემი «თუნგუზი». კაპიტანის სიტყვით, რომელიც ვლადივოსტოკიდან გამოსულა 19 ოკდომბერს, ციხე კარგადაა გამაგრებული. სიმაგრეები იწყება ქალაქიდგან რამდენისამე კილომეტრის მანძილზედ. განუწყვეტლივ მოდიან გემები სამხედრო სურსათით, ზარბაზნებითა და ნუზლ-საწვავით. ევროპიელები ვლადივოსტოკიდან გახიზნვას არ ეპირებიან. თუ იაპონელებმა ამასაც ალყა შემოარტყეს,—მეორე პორტ-არტური გაუჩნდებათ. საბარგო გემები ყოველ დღე მიდი-მოდიან, მახლობელ ღვიძე-მაღაროებიდგან დიდი ძალი ქვანახშირია მოტანილი.

**ალჟირი, 24 ოკდ.** (რეიტერი). მოვიდა კრეისერი «სვეტლანა», ალბად ნადმოსანთა რაზმის ამბის გასაგებად, რომლის წასვლაზედაც უკვე იყო ცნობა, კრეისერმა გზა განაგრძო. გაიარა ესკადრამ რომელიც აღმოსავლეთიდ მიემგზავრება.

**ტუნისი.** (რეიტერი). მოვიდა სამი რუსთა კონტრ ნაღმოსანნი.

**ტანჟერი.** (რეიტერი). ბალტიის ესკადრა გაემართა მადაგასკარისკენ. ნახშირსა და საგზალს იქ შეივსებენ. მხოლოდ საფრანგეთის ნავთ-სადგურში შეივლის. ახლო მომავალში სენეგამბიას გაჩერდება. საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობამ აცნობეს, რომ 24 საათზედ მეტს ხანს ვერ გაჩერდებით ნავთ-სადგურშიო. თუ რომელსამე გემს ქვაბი გაუფუჭდა, შესაძლოა ნება მისცენ მეტს ხანს დარჩენისა. ინგლისის საამირბაროშ განკარგულება მოახდინა, ინგლისის გემები ისე დაეწყონ და უმავთულო ტელეგრაფის აპარატები ისე მოიმარჯვონ, რომ კავშირი ჰქონდეთ ადმირალ როჟდესტვენსკისთან, რათა ამ სახით რუსეთის მთავრობამ შეიძლოს დასამოწმებელი და ან საუარყოფო პასუხი მიიღოს იმისი, რასაც ჩვენებაზედ იტყვიან ევროპაში დარჩენილი ბალტიის ესკადრის ოპიცრები.

**პეტროპავლოვსკი, 25 ოკდ.** გაემართა პეტერბურგისაკენ გენ.-ადიუტ. ალექსეევი.

**იაკუტსკი.** აქაურებმა არ მისცეს ნება იაპონელთ წაეღოთ დამარილებული თევზი იაპონიაში, წინად-კი აქედან თევზი 300 შხუნით მიდიოდა ხოლმე. ამიტომ შესაძლოა იაპონიაში დიდად ისაკლისებენ ისეთს სანოვაგეს, როგორიც თევზია. ბრინჯის შემდეგ პირველი საჭმელი იმათთვის თევზეულია. თუ წინადვე დამზადებული არა ჰქონდათ თევზეული, საშინელი სიმშილია იქ მოსალოდნელი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა 24 ოკდ. თარიღით: „22 ოკდ. თავ-გამოდებულთა რაზმს, პოდპორ. ვარატნიკოვის უფროსობით, სროლა ჰქონდა მტერთან. იმავე დღეს დილით რამდენიმე ზარბაზანი წავწიეთ წინ უსახელო სოფლისაკენ და დაუწყეთ სროლა სოფელ იუდეილაიძს, რომელიც სახეპუდან სამხრეთად არის ერთის ვერსის მანძილზედ. სოფელს ციხის ზარბაზნებიც დავუშინეთ. იუდელაიძის სიმაღლეებს ცეცხლი წაეკიდა. მტერს ზარალი მოუვიდა, რადგან საფარი არა ჰქონდა რა, მტრის ზარბაზნებმ ჩვენებს ვერა დააკლეს რა რადგან კარკადიყვნენ ჩასაფრებულები და მიმალულები. 1000 ყუმბარა და შრაპნელი გვესროლა, მაგრამ ზარალი ვერა მოგვაყენა რა. 23 ოკდომბრის ღამეს პუტილოვის კლდიდან წავიდა თავ-გამოდებულად რაზმით ერთი ვზვოდი მორტრერის ბატარეით მტრის შესაწუხებლად. ვზვოდმა დაუწყო სროლა სოფელს, რომელშიც მტერს ბინა დაედო. სოფელს შულინზას, როცა მტერი იყო, თავგამოდებულებმა ერთი სახლი დასწვეს. დღის მოხსენება არა მოსულა რა იმისი რომ ბრძოლა სადმე ყოფილიყოს.


## განცხადებანი

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

## „ცოდნა“-ს

წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება:

| | |
|---|---|
| დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრისტოლის ქაღალდზედ. | 60 კ. |
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 3— ,, |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| აბში აჩუკი აკაკისა . . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1— ,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1—50 კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . . | 2— ,, ,, |
| ისტორ. ისაბუთებ შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—50 კ. |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1— ,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1— ,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1— ,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**



## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.



გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა **ორ აბაზად**,

აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.



ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

**ბ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი  ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.** (5—6—)



ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს  კ ო მ პ ა ნ ი ა

## „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ.ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| **მირითადი** | **თანხა . . . .** | **1,650.000 მან.** |
| **სათადარიგ** | **გო თანხ . . . .** | **2.664.808 მან.** |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს  ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟების ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)



## საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10


Дозволено цензурою Тифлисъ 25 октября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи